



# პრსენალი

გარემოებრივი  
განმარტობა

№7 (128). 1-13 აპრილი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

1425  
2011

**დაუნდობელი ომი  
დიქტატორული რეჟიმის  
სრულ დაშლაზე...**



**რა კაღებს ფლობდა  
ლიბია ომზე**

**რითი ბოგავს NATO  
კადაფის იმპერიას**





მონიავა  
რაზმი  
ბრძოლაში

15



შველავრანი  
განკვეთის  
წინააღმდეგ

38



ქართული კაზაკთა  
თურქულ რეკლამები

47

„კრაზანას“  
ახალი სისტემები

19



კვალიფიციური  
რეკლამები ჯარში  
ნაშენებლობისთვის

48



რომის  
არმია და  
საქართველო

43



# სარჩევი

## კალენდრული

4 სახმელრო სიხსნავენი

## ოქი

7 ოქი კალენდრის რევიზიის სრულ დასრულებად...

8 რა კალენდრს უფროდ კალენდრ ომებელ

10 რა პირობებებს იყენებს NATO ოქიის ოქი

## საეხსნასხსნებების არქივიდან

11 საფრანგეთი კა-გა-განს არქივიდან

## საფრთხე

14 რადიაციული საფრთხე და რუმორ დანიშნავეთ მიხსან თანი??

## ბაჟები

15 მონენავე რაჟი ბრძოლანი

## სიხსნე

19 „კრაზანს“ ახალი სიფრთხე

## რევიზი

22 კავასიური მონენების მიფრთხილა...

## ბერძინისტილი ორბანიშანი

24 ჩრდილო კავასიის საფირი — რუსეთის მთავარი თანსაბანი

## ბანეშინევი ქვენი

30 ბერძინული ბანეშინევი

## საფრთხე

35 ომბრანი OPLAN DAYBREAK-ი

## ნიშანიური ბანეშინევი

38 მონენების ნიშანიური და ბანეშინევი ნიშანიური

## ქართული ომების ნიშანიური

43 რუმის არმი

## ფრთხე

47 ომბრანიური ქართული კაბრანს თერბანი

რევიზიის ომბრანიური

## რევიზიური ნიშანიური

48 კავასიური რევიზიური

## საფრთხე ნიშანიური

49 რუმორ მონენი აფ-გა „ბრძინი დაბრძინა“ ახანეთს

## საფრთხე ნიშანიური

52 რუმორ მონენი „არმი“?

## „არხანელი“ იარაღის მონენი

54 „ბრძინა“ ახალი ნიშანიური — მონენიური მონენიური სრულსიანი

# რევიზიური სევი

ლიბიაში მიმდინარე ომის ფონზე, სადაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ყოველდღეობში ბრძინის კადრების შეიარაღებულ ბრძინებს, ჩვენთან ბრძინდება აზრი, რომ რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს ყოველდღე ეს და მსგავსი სტრატეგიული განახლის სამხედრო აგრესია საქართველოში.

მეფობა ასეთი პროგნოზების კომენტარი, მაგრამ ერთი რამ ნათელია — საქართველოს დასაქვლე პარტიზინები, უბრძინესად კი აქვს, რაც უფრო მეტ შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვება (ერაფი, ავღანეთი, ახლა — ლიბია), მით ნაკლები დრო, სახსრები და შეიძლება სურვილიც დარჩეს იმისთვის, რომ ჩვენს ქვეყანას დაქვმაროს.

ეს ყველაფერი კი, გვინდა თუ არა, გარკვეულიდღე ხელ-ფეხის უხსნის რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო მოქმედებებისთვის.

ირაკლი ალდაშვილი  
თეფერი ჩანანი

## ფრადღება!

ბანიური „არხანელი“  
და მიდიში 306,  
ორ კვირაში მონენი!  
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რევიზიის დასაქვლე  
მონენების ბრძინევი  
ბრძინევი

ბრძინევი  
28.03.2011

ბანიური „კვირის კალიტრის“  
დაბრძინა ©  
რევიზიის მონენი:  
თანიური, ომბრანი კ. N49  
ტელ: 38-83-07 (121)

სარევიზიო ბანიური:  
ტელ: 37-78-07; 38-78-70  
email: arsenalali@kvisrpalitra.com  
ფრანული ბანიური  
ორ კვირაში მონენი  
ბრძინევი

# ყვანაზა მებ იარაღს ინდოვანაგი ყიდულოგან

სტოკოლმის მშვიდობის პრობლემათა კვლევის ინსტიტუტმა (SIPRI) მსოფლიო შეიარაღების ბაზარზე სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომლის თანახმად 2006-დან 2010 წლამდე მსოფლიოში შეიარაღების ყველაზე დიდ იმპორტიორ სახელმწიფოთა სიას სათავეში ინდოეთი უდგას.

ინსტიტუტის მონაცემებით, იმპორტირებული შეიარაღების 9% სწორედ ინდოეთზე მოდის. თანაც, ამ სახელმწიფომ, წინა ხუთწლიდან შედარებით, თავისივე მანქნებელი 21%-ით გაზარდა. ინდოეთისთვის შეიარაღების ყველაზე დიდი იმპორტიორი რუსეთია, რომლის წილი 82%-ს აღწევს.

შეიარაღების მსოფლიოს უდიდეს იმპორტიორთა სიაში მორე ადგილს ჩინეთი და სამხრეთ კორეა იკავებენ. ეს სახელმწიფოები შესყიდული შეიარაღების მთლიანი მოცულობის ექვს-ექვს პროცენტს ინაწილებენ. ჩამონათვალში 5%-ით მესამე პოზიციასეა პაკისტანი,



რომელმაც 2001-2005 წლების პერიოდთან შედარებით, შეიარაღების იმპორტი მთელი 128%-ით გაზარდა.

შეიარაღების უდიდეს ექსპორტიორად მსოფლიოში კი კვლავაც ამერიკის

შეკრებილი შეტატებია, რომლის წილი 2006-2010 წლებში 30%-ს შეადგენდა. ამერიკული იარაღის ძირითადი მიმდევლები აზიისა და ოკეანის სახელმწიფოები არიან.



## კანბაგონი ილაბროფოკურ ყაგბარაგს სლის

ანის ხეულში აღწევს და მასში ელექტრულ მუტებს უშვებს – შედეგად ადამიანის კუნთები მაქსიმალურად იძაბება, მოძრაობა კი შეუძლებელი ხდება. ეს ელექტრომოკური იარაღი დაახლოებით 10 მეტრ მანძილზე მოქმედებს, მისი კარტრიჯი კი იარაღის კორპუსზე სადენითაა დაკავშირებული.

40 მმ-ან ახალ თავზერ-ფუმბარებს კი, რომელმაც ამერიკული თავდაცვის უწყება დააინტერესა, ელექტრომოკურ პისტოლეტთან შედარებით, ორი უპირატესობა აქვს: სადენი არ სჭირდება და სროლის მანძილი 100 მეტრია. თუმცა, სასურველი ეფექტისათვის მიწინააღმდეგვისთვის ზუსტად და პირდაპირ მორტყმა აუცილებელია.

ასეთი ფუმბარის მოხედრის შემთხვევაში მსხვირბალი 30 წამის განმავლობაში სრულიად უმოქმედია. შწარმოებელთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ იარაღი არალეტალურ ტიპს მიეკუთვნება, მაინც არსებობს სასაშიშროება, რომ ადამიანმა დაკავშირებულ მნიშვნელოვანი ორგანოების სახელოვს მოხვედეს და სიკვდილი გამოიწვიოს.

პირველი პარტია, რომელიც პენტაგონმა შეუკვეთა, 150 ცალი ფუმბარისგან შედგება. გამოცდების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გამოირიცხვოდა არ არის ელექტრო-ჭურჭლის ავღანეთში გაგზავნა. ვაიასკაუკები ფუმბარების სროლით ელლისქვეშა ჩვეულებრივი ფუმბარსატყორცნით და ასევე MGL-ის 6-მუხტიანი ხელის ფუმბარსატყორცნით შეძლებენ.



ამერიკულმა არმიამ ჭურჭების საცდელი პარტია შეიძინა, რომლებსაც ადამიანის პარალიზება შეუძლიათ ამ ტიპის არალეტალური იარაღის ტექნოლოგიას Human Electro-Muscular Incapacitation-ი მქვია და მისი არსი ელექტრული შოკის მეშვეობით ადამიანის კუნთოვანი სისტემის უმოქმედოდ გადაქცევაა.

მაგვიტ ტიპის იარაღზე ამერიკელები დიდი ხანია მუშაობენ და უკვე არსებობს კიდევ პისტოლეტი-თავზერი, რომელიც ელექტრორიან კარტრიჯს ისვრის. ელექტრული ადამი-

# „ალ-შაიხა“ კალაგს მოკავშირეებს გაითხოვებს ურჩევს

„ალ-ჰაიდას“ მედიანგროფილუ-ბამ ცოტა ხნის წინ ინგლისურენოვანი ყურნალი გამოცდა, რამდენად განსაკუთრებული ყურადღება სტატისტიკის — „დაშაშადე თვითნაკვი ბოში დედ-დაშენის საშხარეულოში“ დაიშასხურა.

როგორც ჩანს, „ალ-ჰაიდას“ გა-მომცემლები ამით არ დაკმაყოფილ-დნენ და აი, სულ ახლახან სპეცია-ლური „შეუცნებითი“ ყურნალი მან-დილონებისთვისაც შექმნეს.


ყურნალს ფერადი გარეკანი აქვს და „ალ-შაშიმა“ ჰქვია, რაც ითარგმნე-ბა, როგორც „დიდებული ქალბატონი“. გარეკანზე, რაღა თქმა უნდა, ჩადრმოხ-ვეული ქალი და „კალაშნიკოვის“ ავტო-მატიის ლულაა გამოსახული.

ყურნალში უამრავი „სასარგებლო“ რჩევა და შეგონებაა ჯიბადის მიმდევარი მშენიერი სქესის წარმომადგენლების-თვის. ერთი სტატია ჩადრის ტარების მიზანშეწონილობას ქება, რომელიც



თურემ ლამაზმანების კანს შხის სხვე-ბის მშენე გუგუნისგან იცავს და სილა-მაზის შენარუნებაში ქმარება.

„ელიას“ თუ „კონსოპოლიტენისა“ არ იყოს, თურემ „ალ-ჰაიდას“ იდე-ოლოგებსაც ადვილვით სარფიანად გაითხოვების საკითხი და ამ თემას სა-რეკომენდაციო სტატისტიკაც უძღვნიან. განსხვავება ისაა, რომ „ალ-შაშიმა“ მანდილონებს მოვადკვლზე გაითხოვე-ბას ურჩევს. სპეციალური რუბრიკა თვითმკვლელ ტერორისტთა ცოლებ-თან ინტერვიუს ეთმობა.



## ყოველ მათთა მუხიკონს უკანონო მხსნსსროლი იარაღი აქვს

მექსიკის ადრიცხვის პალატის ბო-ლო მინაკემით ქვეყნის მოსახლეობაში 15 მილიონი ეროული დურეგისტრირ-ებული ცეცხლსასროლი იარაღია, სა-ინტერესო ისაა, რომ ეს რიცხვი ათჯერ აღემატება ამ ლათინურამერიკული ქვე-ყნის არმიის და პოლიციის განკარგუ-ლებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის რაოდენობას. თანაც, მექსიკის მოსახლეობა სადღეისოდ 112 მლნ კაცს ითვლის — ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვე-ყანაში ყოველ მეათე კაცს უკანონო ია-რადი აქვს.

პალატის წარმომადგენლები მიი-წევენ, რომ ქვეყნის სამართალდამცემა ორგანიზება ბოლო წლებში შესუსტეს მოსახლეობაში არარეგისტრირებული ია-რადის აღმოჩენასა და კონფისკაციაზე მუშაობა.


„თუ 2008 წელს მოსახლეობიდან

18174 ეროული ცეცხლსასროლი იარა-ღის ამოღება მოხერხდა, 2009 წელს ეს რიცხვი 1463-მდე შემცირდა“ — ნათ-ქვამია დოკუმენტში.

საერთოდ კი, მექსიკაში ცეცხლსა-სროლი იარაღის მოსახლეობისთვის მი-ყიდვა აკრძალულია, მთელი ეს არსენა-ლი კი ქვეყანაში აშშ-დან არალეგალუ-რად მოხვდა.

ამას წინათ მექსიკის ხელისუფლე-ბამ ქვეყანაში უკანონო იარაღთან საბ-რძოლველად საინტერესო აქციაც კი წამოიწყო — მორბობის თანახმად, იმ მო-ქალაქებს, რომელიც პოლიციაში ნებით წარდგებოდა და არალეგალურ იარაღს ჩააბარებდა, გარდა იმისა, რომ ყოველ-გვარი პასუხისმგებლობისგან გათავი-სუფლდებოდა, მადლობას ეტყვიდნენ და საშუქრად კომპიუტერსაც გადასცემ-დნენ. თუმცა, როგორც პალატის მონა-

ცემებიდან ჩანს, ამ აქციამ მოსახლეო-ბაში მაინცდამაინც დიდი პოპულარობა ვერ პოვა.





# ამერიკელი სამხედრო ბაზას აბომური რეაქტორებით აღჭურვავს

ლები სწორედ ამ გზით ფიქრობდნენ ბაზების ენერგეტიკულ უზრუნველყოფას. აშშ-ში ამ იდეის ხორცშესხმა 90-იან წლებში სსრკ-ის დაშლისა და მსოფლიოში სამხედრო ბალანსის დარღვევის გამო გადაიფიქრეს, თუმცა სულ ახლახან საკითხი კვლავ აქტუალური გახდა.

ამერიკელ სამხედროებს წინადადებები უკვე რამდენიმე კომპანიამ მიმართა, რომელთა შორის გამორჩეულად საინტერესო Radix Power-ის ვარიანტია. ამ კომპანიის რეაქტორის ბაზაზე განთავსების შემთხვევაში, სამხედროებს დამატებითი სარგებლის მიღება შეეძლებათ საუბარია ათმეგავატთან, ე.წ. წყალწყლიანი ტიპის ბირთვულ რეაქტორზე (BWR), რომელიც ელექტროენერგიათთან ერთად წყალსა და სხვადასხვა ტექნიკისთვის საწვავსაც გამოიმუშავებს. რეაქტორი წყალს ატმოსფერული ნახშირორჟანგის სინთეზით გამოიმუშავებს, საწვავი კი — წყალბადისა და ნახშირბადის მონოქსიდის სინთეზის შედეგად. ასეთი რეაქტორის გამოყენება გამართლებული განსაკუთრებით აუღანიეოთ იქნება, სადაც სამხედროებისთვის საწვავისა და წყლის შეუფერხებლად მიწოდება ერთობ შირს.

ჯერჯერობით კომპანიების მიერ ამერიკელი სამხედროებისთვის შეთავაზებულ რეაქტორთა ტიპებს აშშ-ის ბირთვული რეგულირების კომისიის სტრუქტურატი არ მიუღიათ, რის გამოც პროექტის განხორციელება შეუძლებელი იქნება.

აშშ-ის კონგრესსა და თავდაცვის სამინისტროში სამხედრო ბაზების მიმცრო ატომური რეაქტორებით აღჭურვის იდეის განხილვას კვლავ მიუბრუნდნენ. ცუდი არზი არაა — რეაქტორებმა სამხედრო ბაზებს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა უნდა შესძინოს და სამხედროებს ამ მიმართულებით სხვადასხვა ვარიანტს არაკეთი კომპანიაც სთავაზობს, თუმცა კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს თითოეულ სამხედრო ბაზაზე ატომური მიკროელექტროსადგურის განთავსება, აქამდე დაუზუსტებელია.

ამერიკულ სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-სახლგო ძალებში და არძის ბაზებზე ატომური რეაქტორების განთავსების იდეა ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან არსებობს. იმხანად, სსრკ-ისგან ატომური ომის დაწყების მოლოდინში ამერიკე-


## ბრიტანეთის თავდაცვის უწყება ნიგნ რიი გაიო უსხადა

დიდ ბრიტანეთში წივნის „მკვდრეთით აღმდგარნი — უელსის გვარდია და ავღანიეთში ბრიტანეთის ომის ნამდვილი ამბავი“ მთლიანი ტირაჟი — 23 ათასი კვებმლარი გაანადგურეს. ამ წივნის ავტორი „დვილი ტელევიზიის“ ჟურნალისტი ტობი ჰარდენია, მისი ნაშრომის ამთავლენებელი კი გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო, რომელმაც წივნის მთლიანი ტირაჟი შეიყიდა და შემდეგ გაანადგურა.

ბრიტანელი სამხედროები ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნიან: „წივნის შეიცვება და მონაცემებს, რომელთაც შეიძლება ერთწვულ საფართოობებზე ნეგატიურად ემოქმედა“. ასეა თუ ისე, ამ აქტივამ წივნის ავტორზე მეტად ბრიტანეთის ბიუტეტი აზარადა — „კარბალეული დოკუმენტურის“ გამოხვიდა და განადგურება 150 ათასი გირანქასტრენინგი დაჯდა.

თავად ავტორი სამხედროებისგან წივნის ათვალწუნების მიზეზად მასში მოუგანილ ფაქტებს ასახელებს, რომელთაგან ერთ-ერთი აუღანიეთში მყოფი ესტონური კონტინგენტის საქმიანობას ეხება. ტობი ჰარდენის თქმით, თუკი NATO-ში ბრიტანეთის მოკავშირე ეს ქვეყნა წივნის მემკვიბით სიმართლეს შეიტყობს, თავის ჯარისკაცებს აუღანიეთიდან უმაღ გამოიხმობს, რაც გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროში ნამდვილად არ სურთ.

ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ჟურნალისტს წივნის ხელმოწერილ გამოცემის ნება ამ პირობით დართო, თუ ავტორი პირველ ვარიანტს ჩაასწორებს — საუბარია კონკრეტული ფრაგმენტების ამოღებაზე. თუმცა, ტობი მაინც არ ისვენებს და წივილიდან, სამხედროთათვის უსახაზური ამონარიდებს, ინტერნეტში თავის ბლოგზე უბიბებს განთავსებას.



# ოვი კადავის რევიის სრულ დახმობა...

**დასავლეთის საპაერო  
 დარგევევა კადავის  
 არევი ევიევი სიგევიივი  
 რევი, ევევი  
 გევიევიევიევი ევიევი  
 სევიევიევი გევიევი  
 გევიევიევიევი...**



ლიბიაში მახობრევი არევილიბის  
 დევიევიდან თიევიის ერთი თეის თევიე  
 გევიევი უევიევიევიის საბევი მიილი რე-  
 ვილევი, რევიევილი ლიბიის საპაერო  
 სევიევი არევიევიევი ზიის შევიევიის  
 გევიევიევიევი.

19 მარტის სადამის დასევიევიის კე-  
 ვიევიევიევი ძალევიევი წამიევიევი ფარ-  
 თიევიევიევიიანი საპაერო თევიევიევი კე-  
 ვიევი სახევიევიევიი თევიევი, გევიევი-  
 ევი — თევიევიევიევი, მასიევიევიევი  
 საპაერო დარგევიევი მიევიევიევი კე-  
 ვიევიევიის ერთევილი ლიბიის შევიევიევი-  
 ბევი ძალევიის ინფრასტრუქტურას.

როგორევი მოსევიევიევი იევი, ხევი-  
 თევიევი ზევიევი მევიევი ამევიევიევი და  
 ბრიტანევი წევიევიევი ნევიევიევი 120-  
 მიევი ფროისანი რევიევი „ტევიევიევი“ გე-  
 ვიევიევი ლიბიის საპაერო თევიევიევი და  
 სევიევიევიევი თევიევიევი, მთი შვი-  
 რის — მარევიის ევიევიევი, რევიევი-  
 კევიევიევი და სევიევიევი-სარევიევი  
 კომევიევიევიის გევიევიევიევიევიევი  
 „ტევიევიევი“ სამიევიევიევი გევიევიევი  
 რევიევიევიევი და თევიევი კე-  
 ვიევიევიევი ტრევიევიევი.

პარევიევიევი, აშშ-დან გევიევიევი-  
 ნილმა სამმა „ევიევიევი“ სტრევიევი-

ულმა ბომბდამშევიევი B-2 „სევიევიევი“  
 40 ტრევიევიევი საევიევი ბომბი ჩამევიევი  
 ტრევიევიევი აევიევიევიევი და მთიევიევი  
 გევიევიევიევი მევიევიევი.

„ტევიევიევიევი“ ზევიევიევი ზალმა გე-  
 ვიევიევი დასევიევიის კევიევიევიის ასე-  
 ვიევი საბრევიევი თევიევიევიევი ლიბიის  
 ევი, რევი იევიევი მიევიევიევი მიევიევი  
 სამიევიევიევი — ამბოხევიევიევიის ქე-  
 ვიევიევიევიევი შევიევიევიევი გე-  
 ვიევიევიევი კევიევიევიევი.

კევიევიევი ძალევიევი ევიევიევი  
 სევიევიევი მისევიევიევი ამბოხევიევიევი, —  
 ბევიევიევი დაკევიევიევი შევიევიევიევი ამბო-

**NATO-ს საპაერო მხარევიევი  
 იმევიევიევი ამბოხევიევი  
 კევიევიევი რევიევიის დამბოხის ევიევიევი**



სებულები მთავარი დასაყრდენის გარეშე დარჩებოდნენ. პაერიდან განადგურებული კადავის ტანკების დამანახველმა შეიარაღებულმა ოპოზიციამ კონტრტეტუვა დაწყო ტრაბოლისკენ და გზადაგზა დასახლებული პუნქტების ადგამს აპირებდა, მაგრამ წინსვლა შენერდა, რადგან კადავის ერთგული რეგულარული შეიარაღებული ძალები თავიანთი შეიარაღებით, ცოდნითა და დისციპლინით სჯობდნენ ამბოხებულებს. სახმელეთო შეტაკებაში შეეყვანებამ წინ წამოსწია დასავლეთის კოალიციის ძალების შესაძლო ჩართვა ლიბიის მიწაზე ბრძოლებში, თუცა ამის უფლებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია არ იძლევა.

ახალი რეზოლუციის მიღება, რომელიც ნებას დართავდა კოალიციას, ჩაერ-

თოს სახმელეთო ბრძოლებში, ნაკლებ-საყარაულოა, რადგან მას აუცილებლად ვუტოს დადებენ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები — რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი.

ასე რომ, ამბოხებულებს თავად მოუწევთ სახმელეთო ბრძოლებში გამარჯვება პაერიდან NATO-ს ავიაციის დახმარებით.

28 მარტს NATO-მ თავზე აიღო ლიბიაში სახმელეთო ოპერაციის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს კადავის ავიაციისთვის (თუ ის საერთოდ გადარჩა) არასაფრენი ზონის შენარჩუნებას; საპაერო დარტყმის მიყენებას სახმელეთო სამიზნეებზე; საზღვაო ბლოკადის მოწყობას ლიბიის ტერიტორიულ წყლებში, რათა კადავის რეჟიმმა საზღვაგარეთიდან შეიარაღება ვერ მიიღოს.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი უარყოფს სახმელეთო ოპერაციებში ჩართვას, ლიბიის ტერიტორიაზე რამდენიმე კვირაა მოქმედებენ აშშ-ისა და დიდ ბრიტანეთის სადაზვერუო ჯგუფები, რომელთა მიზანშეწონაა განსაზღვრებული ობიექტების აღმოჩენა და მათი მონიშვნა დაზვერული სხვით, რათა ავიაციამ დაზვერული დამიზნების მართვად რაკეტებითა და ბომბებით წერტილოვანი დარტყმები მიეყენოს მონიშნულდეგს. ამ სპეცდანიშნულების ჯგუფების ცვალებით ასევე იმ პილოტების მოძებნა და გადარჩენა, რომელთა თვითმფრინავები შეიძლება ჩამოყარონ.

წიდილოატანტიკური ალიანსის ინტერესებში არ უნდა შედიოდეს სახმელეთო ოპერაციებში ჩართვა, რადგან ეს დიდ მსხვერპლთან იქნება დაკავშირებული.

# რა კალაზს ფლოზდა კალაფი ოზაზდა

საბჭოთა MiG-23-ები კადავის რეჟიმს აეროდრომზესვე გუნადგურეს



ლიბიის მოსახლეობა 6 მლნ კაცზე მეტს შეადგენდა. რეგულარული შეიარაღებული ძალები 76 ათასამდე კაცს ითვლიდა, მათგან 38 ათასი საყაღდებულო სამსახურში იყო. ჯარში საყაღდებულო სამსახურში 12-14 თვით გაქვეულებით კომპლექტდებოდა. რეზერვში 40 ათასი კაცი ირიტებოდა, სამობილოზაციო რესურსი კი 1,6 მლნ-ს აღწევდა, მათგან თითქმის მილიონი ვარგისი იყო სახმელეთო სამსახურისთვის.

ლიბიის სახმელეთო ჯარების პირადი შემადგენლობა 50 ათას სახმელეთოს შეადგენდა. მის შტაბში იყო 4 სარაკეტო ბრიგადა, რეჟიმის დაცვის ბრიგადა, 10 სატანკო ბატალიონი, 22 საარტილერიო დივიზიონი, 18 ქვეითი, 10 მოტოქვეითი და 6 საპარაშუტო-სადენსატო ბატალიონი და 7 საზენიტო დივიზიონი.

შეიარაღებაში შედიოდა: ოპერატიული-ტაქტიკური დანიშნულების P-17 „სკადის“ 80 გასასვები დანადგარი,

ტაქტიკური დანიშნულების „დუნას“ ტიპის 40 დანადგარი, 2000-ზე მეტი ტანკი (მათ შორის 200-მდე T-72, 100 T-62 და 500-მდე T-55); ამდენვე ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი; 44 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი; 647 ბუქსირებადი პაუბიცა და ქვემები; 500 ცალი სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატორენი; 630 ზალკური ცეცხლის რეაქტიული სისტემა; 3 ათასამდე მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი; 90 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი (მათ შორის 24 ფრანგული „კროტალი“) და სხვადასხვა კალიბრის 600 საზენიტო საარტილერიო დანადგარი.

ლიბიის სახმელეთო-საპაერო ძალებისა და საპაერო თავდაცვის (18 ათასი კაცი) შეიარაღებაში იყო 374 საბრძოლო თვითმფრინავი, მათ შორის — 7 ბომბდამშენი Tu-22, 104 გამანადგურებელ-გაზაგადამჭერი MiG-25, 130 გამანადგურებელი MiG-23, 7 „მირაჟ-5“,

29 „მირაჟ F-1“, 53 გამანადგურებელი ბომბდამშენი Cy-20 და Cy-22, 6 საფრონტო ბომბდამშენი Cy-24MK, 45 გამანადგურებელი MiG-21.

სასწრაფო-საბრძოლო 90 თვლის-ღვიფრი G-2 „გალები“ და 115 ჩქოს-ღვიფრი L-39ZO, აგრეთვე 82 სახმელეთო-სატრანსპორტო თვითმფრინავი და 164 შეეუღლებური (მათ შორის — 60 საბრძოლო Mi-24-ის საექსპორტო მოდიფიკაცია).

ლიბიის სახმელეთო-საზღვაო ძალების (8 ათასი კაცი) შეიარაღებაში იყო: 641-ე პროექტის ორი დიზელისძრავიანი საბჭოთა წყალქვეშა ნავი, ორი ფრეგატი, მცირე სარაკეტო ხომალდი, 14 სარაკეტო კატარადა, საფსანსტო კატარალები და სხვა მცირე ზომის მცურავი საშუალებები.

როგორც ხედავთ, კადავის არმიის შეიარაღება მართლაც მოამბეჭდავი იყო, თუდაც იმიტომ, რომ 374 საბრძოლო თვითმფრინავი დიდ ბრიტანეთ-



ლო. ამიტომაც დასავლეთი იმედოვნებს, რომ ამბოხებულები თავად მოუგებენ ომს კადაფის რეჟიმს, რისთვისაც მათ ყველანაირ დახმარებას აღმოუჩენს.

ფაქტია, დასავლეთს უნდა კადაფის რეჟიმის დამხობა, რისთვისაც არც კადაფის ფიზიკურ განადგურებაზე იტყვის უარს, ამიტომაც რამდენჯერმე დაიბობა ის რეზიდენტები, სადაც კადაფი ადრე იმყოფებოდა.

თუკი დასავლეთმა ამბოხებულების დახმარებით უახლოეს პერიოდში (რამდენიმე კვირაში) ვერ მოახერხა კადაფის რეჟიმის დამხობა, დიდი შანსია, პოლკოვნიკმა კადაფიმ ეს ომი ქრისტიანული და მუსლიმანური დაბირისპირების ჩარჩოში გადაიყვანოს და მსოფლიოს მუსლიმანებს გაერთიანებისკენ მოუწოდოს.



ლობის უდაბნო  
ცეცხლის ალშია  
გახვეული

საც (341 საბრძოლო თვითმფრინავი) არა ჰყოფს.

თუმცა ამ ციფრების უკან ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი იმალება: ათწლეულების განმავლობაში კადაფის რეჟიმს საერთაშორისო საწიქვებო პქონად დაწესებულა და მთელი ეს შეიარაღება უკვე მოძველებული და შეტყნულად მწყობრიდან გამოსულია.

ყველაზე ძლიერი კადაფის საპაერო თავადგვა გასული საუკუნის 80-იან წლებში გახდა, როდესაც საბჭოთა კავშირმა ლიბიას მიართვა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-75M3 (39 დივიზიონი), C-125M (36 დივიზიონი) და თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის „კადარატის“ (ეს „კოვგის“ საექსპორტო ვარიანტის სახელწოდებაა) 140 საბრძოლო მანქანა.

მოგვიანებით კადაფიმ მოსკოვისგან შეიძინა ამ დროისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-200B-ის ოთხი დივიზიონი, რომლებმაც ამერიკელებს დიდი თავსატეხი გაუჩინეს.

ზუსტად 25 წლის წინ, 1986 წლის მარტში, ლიბიაში ქ. სირტთან (ეს კადაფის მშობლიური ქალაქია, რომლის ადებასაც ცდილობს ოპოზიცია) დაფენებული საბჭოთა საზენიტო-სარაკეტო სისტემა C-200-ებიდან გაშვებული სამი რაკეტით აშშ-ის მე-6 ფლტის შემადგენლობაში შემავალ აჯაჰშიდ „სარატოვადან“ აფრენილი სამი გემბანის მოიერიშე A-6 და A-7 ჩამოაგდეს. მაშინაც ამერიკული ავიაცია ტრიბოლისა და ბენდაზის ბომბავდა, მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა (ქართულ მასშედიამზე), რომ კადაფის გან-

კარგულებაშია თანამედროვე რუსული ტანკები T-90-ები და საზენიტო-სარაკეტო სისტემები C-300-ები, ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

2004 წელს გაერომ კადაფის რეჟიმს მოუხსნა საწიქვო აბრალის შესყიდვაზე, რის შემდეგაც კადაფიმ მართლაც დაიწყო მოლაპარაკება ფრანგებთან თანამედროვე „რაფალების“, ხოლო რუსებთან კი Cy-35-ების, C-300PMY-2-ების, BxK-M2-ების, Ka-52 თუ T-90-ების შესყიდვაზე.

უკვე იყო ხელმოწერილი დოკუმენტი 12-15 ცალი Cy-35-ის შესყიდვაზე, რისთვისაც ტრიბოლის მოსკოვისთვის 800 მლნ დოლარი უნდა გადაეხადა.

კადაფი რუსეთისგან არანაკლებ 4 მლრდ დოლარის ღირებულების თანამედროვე შეიარაღების ყიდვას გეგმავდა, მაგრამ არ დასცადა და დიდი ომს დასავლეთთან მოძველებული და მწყობრიდან გამოსული შეიარაღებით შეტედა.



C-200 ტიპის შორი მოქმედების საზენიტო-სარაკეტო სისტემები გამართული რომ ქქონოდა, კადაფის საპაერო თავადგვა NATO-ს ავიაციას დიდ დანაკარგს მიყენებდა

# რა შეიარაღებას იყენებს NATO ლიბიის ომში

19 მარტის საღამოს ლიბიაზე საჰაერო იერიშის მიტანის წინ ოპერაცია „ოდისეა. განთიადი“ ხმელთაშუა ზღვაში მოდრეიფე ამერიკული მკერ ფლოტის ფლაგმან LCC-20 Mount Whitney-დან იმართებოდა. ეს სწორედ ის „მაუნთ უიტნია“, რომელიც აგვისტოს ომის შემდგომ 2008 წლის 5 სექტემბერს დაღვა ფოთის პორტთან რეიდზე და საჭარბოელოს პოლიტიკური მხარდაჭერა აღმოუჩინა.

ლიბიის სტრატეგიული ობიექტების მიმართულებით ფრთოსანი „ტომპაკეკები“ ამერიკელმა ატომურმა წყალქვეშა ნაუებმა „პროვიდენსმა“, „სკრენტონმა“ და „ფლორიდამ“ გაუშვეს. ლიბიის ტერიტორიულ წყლებთან დრეიფობდნენ



**აშშ-დან გამოფრენილმა სამმა B-2-მა ტრიპოლითან აეროდრომს 40 ტ ბომბი დააყარა**



**„ტომპაკეკების“ ზალმა კოალიციის ავიაციას გზა გაუხსნა**

ამერიკული სარაკეტო საესკადრო ნაღმოსნები და ფრანგული ატომური ავიამზიდი „შარლ დე გოლი“. ოპერაციის დაწყებიდან ათი დღის თუზე კოალიციურ ძალებს 190-მდე „ტომპაკეკი“ ჰქონდათ გაშვებული ლიბიის სტრატეგიული ობიექტების გასანადგურებლად, ხოლო ავიაციამ 800-მდე საბრძოლო გაფრენა შეასრულა. ეს მონაცემები ყოველდღი-

**ფრანგული „რაფალები“ „შარლ დე გოლიდან“ აფრენენ დარტემებს კადაფის რეჟიმს**



ურად იცვლება, რადგან NATO აგრძელებს საჰაერო ოპერაციას და მისი წვერი 28-ე ქვეყანა მონაწილეობს მასში. თუმცა ზოგიერთი წვერი-ქვეყანა კატეგორიულად წინააღმდეგია იარაღის გამოყენებისა (მაგალითად, გერმანია და თურქეთი) და სხვა საშუალებებით ქმარებიან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ამ ოპერაციაში.

# საფრანგეთი კა-გე-გეს არქივებში

## NATO-ს ფრანგი პრეზიდენტი კრე-ს ავანტი იყო

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №6, 2011)

### სოუ არ იმომხდამა კომპრომატებით შემტავა სარკოზონი?

2007 წელს, განსაკუთრებით კი პრეზიდენტად არჩევამდე, სარკოზის დამოკიდებულება რუსეთისადმი საკმაოდ მკაცრი იყო. ის რუსეთს აკრიტიკებდა ადამიანის უფლებების დარღვევის, დემოკრატიული პრინციპების შეზღუდვის გამო და აშკარად გამოხატავდა მხარდაჭერას რუსეთის მეზობელი ქვეყნებისადმი. საინტერესოა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი ქვეყნის ხელმძღვანელი, ვინც სარკოზიმ მიიღო, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო.

ჩვეუთის ყველაზე საინტერესო სარკოზის საგარეო-პოლიტიკური ორიენტირება. ტრადიციულად, „გოლისტები“ (რომელთაც მიაკუთვნებს თავს სარკოზი) მსოფლიოში მთავარ მოკავშირედ გერმანიასა და რუსეთს ხედავენ, ხოლო აშშ-თან საკმაოდ ციფა და „დისტანციური“ პოლიტიკის მიმდევრები არიან.

საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა თვიდან ითხოვდა უდალატა ამ სტრატეგიატებს და უფრო მოქნილი საგარეო-პოლიტიკური კურსი აირჩია, სადაც აშშ, დიდი ბრიტანეთი და NATO მთავარი პარტნიორები უნდა გამხდარიყვნენ. ეს კი დიდად არ ჭბატებოდა გულზე რუსეთს.

2008 წლიდან კი სარკოზი ითხოვს შეცვალეთ, ის ყოველნაირად ცდილობს პუტინის კეთილგანწყობის მოპოვებას და ქვეყნის ხელისუფლებაში გზა გაუხსნა იმ ხალხს, ვინც არასდროს მალეუდა რუსეთისადმი დიდ სიმპათიას. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნა ბერნარ კოშმერი, რომელიც თურქე ჯერ კიდევ 90-იან წლებში, გაეროში მუშაობის დროიდან, მტკობობდა სტრეკო ლჯეროთან. მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნა ფრანსუა ფიოინი, ვან დე ბუასიუ და რუსული წარმო-

მავლობის ივორ მტროფანოვი, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში მრავალჯერ იმყოფებოდნენ მოსკოვში.

უცხოელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ რუსეთის ხელისუფლებაში თურქე სარკოზის პოზიციის შეცვლის აღფრთოვანებას ვერ მალევენ და მას „ვეროპაში რუსეთის საუკეთესო მეგობარს“ უწოდებენ. რუსი დიპლომატები კულუარებში იმხსაც აღიარებენ, რომ ვეროკავშირის მეტაური ქვეყნის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ ფაქტობრივად თვალი დახუჭა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიანზე და რეალობას შეურიგდა.

### 306 არის ნიმოლა სარკოზი?

„არსენალის“ მკითხველისთვის ინტერესიკლებული არ უნდა იყოს საფრანგეთის დღევანდელი პრეზიდენტის ბიოგრაფიის გაცნობა.

„ნახვერად გბრაელი, ნახვერად ემბერანტი“ – ზურგს უკან ასე ახასიათებენ სარკოზის მისი არაკეთილმოხურენი. „პატემოფავრე, ენერგიული და მკაცრი“ – ასე აფისებენ მომხრენი.

მაინც ვინ არის საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი?

საფრანგეთის ტანმორჩილი პრეზიდენტი თავიდან მართლაც გამოჩნეულ და კოლერიატულ პოლიტიკურ გავრად ჩანდა. თუნდაც ის ფაქტი რად დღის, რომ „პირველი ფრანგის“ ძარღვებში მხოლოდ მეთოხედაი ფრანგული სისხლი. თუმცა ეს რა გასკვირია, როდესაც „პირველი ამერიკის“ – აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამას ძარღვებში აფრიკული სისხლი ჩქეფუ?

ფაქტია, რომ ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური მომავალი დიდად იწეზა დამოკიდებულები ამ ხელშეკრულების რეალურ შესრულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკისათვის საკმაოდ ახალგაზრდა (სარკოზი 56 წლისაა, რაც პოლიტიკური კარიერისთვის „გაფურქუნის“ ხანაა) ასაკში „სარკო“ სა-



პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველი ქვეყნის ხელმძღვანელი, ვინც სარკოზიმ მიიღო, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იყო

შინაო და საერთაშორისო ავტორიტეტი ძალზე შეიღაზება.

ნებისმიერი ქვეყნის ლიდერის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი პიროვნული თვისებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ფარული მიდრეკილებები და სხვ. სპეცსამსახურების შესწავლის ობიექტია. თუნდაც რუსეთის სპეცსამსახურები ავილი – მათი სპეციალური პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური ანალიზის დანაყოფები სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის – საქართველოს) პოლიტიკური მოღვაწეების ზუსტ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს ქნაიან.

საინტერესოა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერუო სააგენტო 80-იან წლებში პრეზიდენტ რონალდ რეიგანისთვის (რომელსაც კითხვა სძულდა) სპეციალურ ვიდეოპორტრეტებს ქნაიდა საზღვარგარეთის პოლიტიკურ ლიდერებზე. თითომხილველთა გამოცემაში, ამ ვიდეოფილმ-პორტრეტებს (განსაკუთრებით კი ლიბის ლიდერ მუამარ კადაფის შესახებ) დიდი მთავებობილება მოუხდენია ამერიკის პრეზიდენტზე.

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს სპეცსამსახურებში სხვა ქვეყნების ლი-

ფრანგული „ამისტრალბი“  
რუსეთის საზღვაო ძლიერების  
გაზრდას უზრუნველყოფენ



დერების ფსიქოპოლიტიკური პორტრეტების შედგენაზე არ მუშაობენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის ყოფილი პრეზიდენტისა და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გადაწყვეტილება პროგნოზირებადი იქნებოდა.

ახლა კი კვლავ ნიკოლა სარკოზის დაუბრუნდება.

**მცირე ღონისძი:** ნიკოლა პოლ სტეფან სარკოზი და ნად-ბოსკა, იგივე ნიკოლა სარკოზი, 1955 წლის 28 იანვარს დაიბადა საფრანგეთის დედაქალაქში.

მისი მამა – პალ ნად-ბოზა შარკიევი ბუდაპეშტში, უნგრელი თავადის ოჯახში დაიბადა. 1944 წელს უნგრეთში საბჭოთა ჯარის შესვლის შემდეგ მისმა ოჯახმა სამშობლოდან გაქცევა არჩია და საფრანგეთში დასახლდა. 1948 წელს მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა და ამიტომაც მისმა გვარმა უფრო ფრანგული ჟღერადობა – სარკოზი – შეიძინა. 1949 წელს პალ სარკოზიმ ცოლად შეირთო ცნობილი ჰაინაიელი ექიმის, გბრაელი ბენედიქტ მაღაზის და ფრანგი ადელ ბუეის ქალიშვილი, თურმედილი ფაკონდრეტის სტუდენტის ანდრე.

მათ სამი ვაჟი: გიომი (დაიბადა 1952 წ.), ნიკოლა (დაიბადა 1955 წ.) და ფრანსუა (დაიბადა 1957 წ.) შეუძინათ. 1959 წელს ნიკოლა სარკოზის მშობლები

გაიფანენ და ბავშვები აღსაზრდელად დედისთან დარჩნენ. ბავშვობაში თანაკლასელები ხშირად ჩაგრაუნდნენ პატარა ტანის და ფიზიკურად სუსტ ნიკოლას, ამას მისი ემიგრანტ-ებრაელებსაც უმატებდნენ მორალისტო პატარა ხულივანები და სარკოზის ფსიქოლოგიური პორტრეტიც ასეთ მძიმე გარემოში ფალობდებოდა.

საკმაოდ მძიმე ბავშვობამ, უმამობამ და არაფრანგულმა წარმომობამ მომავალ პრეზიდენტში არასრულფასოვნების კომპლექსი წარმოიშვა („გოლიათური ადნაგობის“ გარდა, ამ მიზეზის გამოც, ის ძალზე ჰავს რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის), რასაც ითავად სარკოზიც არ ძალუჯს.

ნიკოლამ 1978 წელს დაასრულა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი და ადვოკატის პრაქტიკა დაიწყო. სტუდენტობის წლებში ვეჯილუბის ძალაშიაში მუშაობდა კურიერად და ასე შოულობდა სწავლის ფულს.

უნდა ითქვას, რომ სუპერენერგიულმა სარკოზიმ ძალზე სწრაფად მიადწინა წარმატებას პოლიტიკურ არენაზე. 1976 წელს ჟაკ შირაკის მიერ დაარსებული „ახალგაზრდა გოლისტთა“ პარტიის წევრი გახდა.

1982 წელს, 28 წლისა პარიზის გარეუბნის, ნეი-სიურ-სენის შერი ხდება. ამ პოსტზე მან 19 წელი(!) დაჟყო. ნიკოლა ახალგაზრდობიდანვე საფრანგეთის მო-

მავალი პრეზიდენტის ჟაკ შირაკის გუნდის წევრი გახდა და მომავალში „ემშაკი ჟაკის“ დახმარება და პროტექცია არ მოკლებია. თუმცა მათი ურთიერთობა მთლად უღრუბლო არ ყოფილა და თანდათან ამკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა. თუმცა ფაქტია, რომ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჟაკ შირაკმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი სარკოზის კანდიდატურას.

**შიდაპოლიტიკური ბრძოლის მორაგობა**

საგარეო საფრთხეებთან შედარებით პრიორიტეტულად შიდაპოლიტიკური ბრძოლის აღიარება საფრანგეთის პოლიტიკური ელიტის ტრადიციაა. 60-იან წლებში გენერალი შარლ დე გოლ საფრანგეთის სუვერენიტეტის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნაში აცდიდა სიქას, ამ დროს კი მთელ ქვეყანაში გალაღებულად მოქმედებდნენ კა-გა-ბე და გე-ურ-უ.

ათი წლის შემდეგ პრეზიდენტ ფისკარ დესტენის დეკლარებთა საფრანგეთის კონტრდაზვერვა სოციალისტების ლიდერ ფრანსუა მიტერანზე აგროვდა კომპრომატებს, საბჭოთა დაზვერვა კი კვლავ განაგრძობდა საქმიანობას საფრანგეთის ტერიტორიაზე. მიტერანისა და ჟაკ შირაკის დაპირისპირება ხშირად ცალკე საუბრის თემაა. 1995 წელს პრეზიდენტად არჩეულმა შირაკმაც უმაღ-



მოქმედა ვაშუშები მტერ-მოყვარეს. სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურულად დამუშავების ობიექტი ნიკოლა სარკოზიც მალევე გახდა.

ნიკოლა სარკოზზე კომპრომატების ძიება ვერ კიდევ დაიწყო შირაკის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. სარკოზი ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა პოლიტიკოსისთვის (შეიძლება ისიც დაუკარგებოდეს - ფრანგი პოლიტიკოსისათვის) აუცილებელი თვისებებით და, ალბათ, ამიტომაც თავიდანვე ყველასთვის საშუალო კონკურენტი იყო.

ჟაკ შირაკს სურდა მის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტად ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დომინიკ დელ პოუზი იქონიდა და ამიტომაც სარკოზის ჩამოცილება კომპრომატებით გადაწყვიტეს.

ირაკვეა, რომ ჟაკ შირაკმა სრულიად საიდუმლო დავალება პირადად მისცა გენერალური დაზვერვის დირექტორ ფ ბერტრანს. სარკოზის ყველა შეტევა (მოხელეაუღ იმისა, პოლიტიკური და სამსახურებრივი იქნებოდა თუ პირადი) უმაღლეს ხელზე ცნობილი შირაკისთვის. საფრანგეთის დღევანდელ პრეზიდენტს არა მარტო უთავითავე აღიქვამდნენ და ფრულად უსმენდნენ, არამედ მის კანდიდატურა და სიყვარულს მალულად ჩხრეკდნენ.

შეიძლება საფრანგეთის ხელისუფლებაში მნიშვნელობით მეთორე — შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნის შემდეგ აღმოაჩინა სარკოზიმ, რომ მისი ცხოვრება და პოლიტიკური მოღვაწეობა (ამურული თვითდასაყვამი, პოლიტიკური გარიგებები თუ სხვა რამ) გულმოდგინედ აღინუსხებოდა მის უწყებაში. ამიტომაც იყო, რომ მინისტრად დანიშნვისთანავე ფ ბერტრანი სასწრაფოდ დაითხოვა სამსახურიდან. მას კი პირადი ჩანაწერები ჰქონია. ახლა კაცმა არ იცის, ვის ხელთა ეს ვიდეო და აუდიოჩანაწერები თუ აგენტურული ცნობების ახლები.

სად იყო და თვის სარკოზზე შეკრებილი კომპრომატები და ვის შეეძლო მათი ხელში ჩაგდება? დადასტურებით რაიმეს მტკიცება ძალზე რთულია, თუმცა საფრანგეთის პრეზიდენტის საგარეო-პოლიტიკური კურსის რადიკალური ცვლილება საჩვენა.

**რატომ გადავიდა ნიკოლა სარკოზი პრორუსულ პოზიციასზე ?**

კითხვამ, თუ რომელი ქვეყნის სპეცსამსახურს შეიძლება ჩაერინოდა ხელში კომპრომატები, საკმარისი ლოკუსი, თუმცა არაპირდაპირ პასუხის სულ ახლახან გამოქვეყნებული „ვიკი-

ლიქსის“ მორიგი საიდუმლო დოკუმენტები იძლევა.

ირაკვეა, რომ 2008 წლის ომის დროს და მის შემდეგ საფრანგეთი და გერმანია ვეროკავშირში რუსეთის ინტერესებს ლიბერტდნენ.

„ვიკილიქსმა“ 2008 წლის ნოემბერში სტოკჰოლმში აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელ რობერტ სილვერმენსა და შვედ დიპლომატ იოან ფრისელს შორის საუბრის ჩანაწერი გაავრცელა.

შვედი დიპლომატის თქმით „საფრანგეთმა შეუფიქრობა პოლიტიკური დაარწმუნა, ვეროკავშირის მიერ რუსეთისთვის სანქციების დაწესების საკითხში პოზიციები შექმნისუბუნებინათ. საფრანგეთი „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამის გაყვითი იმუქრებოდა, თუ შვედეთი და სხვა ქვეყნები რუსეთ-ვეროკავშირს შორის მოლაპარაკებების განახლება შეაფერებდნენ და დათვნიებით მოითხოვდა, მოსკოვიან საქმე ისე დაეჭირათ, თითქოს არაფერი მოხდარა“.

ამ საიდუმლო დოკუმენტებიდან ირაკვეა, რომ მაშინ, როცა აშშ და დიდი ბრიტანეთი დათვნიებით აყენებდნენ საკითხს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილებია და რუსული არმია იქიდან უნდა გავიდეს, საფრანგეთი, გერმანია და იტა-

ლია უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ფრულად რუსეთის ინტერესებს იცავდნენ.

საქართველოში სარკოზის პოპულარობა განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიზარდა, როდესაც ის რუსეთის მოქმედებებს საჯაროდ დასაჯდა აკრიტიკებდა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებების შესრულებას მოითხოვდა. თუმცა ეს საიდუმლო დოკუმენტები, ასევე რუსეთისთვის „მისტრალის“ მივიდვის ფაქტი, სარკოზის პრორუსულ პოლიტიკაზე გადასვლას ამტკიცებს.

50-90-იან წლებში ამგვარ რადიკალურ ცვლილებებს საფრანგეთში მოქმედ საბჭოთა აგენტურა დაუკავშირებდნენ და მართალიც იქნებოდნენ, რადგან იმ პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურებს საფრანგეთის საზოგადოების ყველა ფენაში ჰყავდა დასაყრდენი. მხელია დაჯერება, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ შემთხვევისთან გვაქვს საქმე.

დღევანდელი სარკოზის შემდგომ მოქმედებებს რუსული აგრესიის აღკვეთისა და ქართული მიწების დაბრუნების საქმეში და საბოლოო დასკვნაც მაშინ გვაკეთობთ.

**ბენის ალავაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადაამდარი პოლკოვნიკი*



საფრანგეთის პრეზიდენტსა და რუსეთის პრემიერ-მინისტრს კარგი ურთიერთობა აქვთ

# რადიაციული საფრთხე და როგორ დავიხსნათ მისგან თავი?!

კაკასია, კრძიდ კი სამხრეთ კაკასია, სეისურად აქტიურ რეგიონებს მიეკუთვნება. ეს გარემოება გეგაგაღებულებს დიდი უნარდღება დეუფოთოთ შესაძლო მაციონსტრების შედგების ლიკვიდაციისათვის შხადებას. მით უმეტეს, რომ წყნის რეგიონს მაციონსტრების გარემოც საფრთხეს უქმნის სომხეთის ატომური ელექტროსადგური. მოგვსტენებათ რა შედეგებია გამოიწვია წერონიბლის ატომური ელექტროსადგურის ავარიამ. მაციონსტრის შემთხვევაში კი სომხეთის ატომური ელექტროსადგური შესაძლოა მთელი რეგიონისათვის დიდ პრობლემად იქცეს. ამის დამადასტურებელია მოვლენები, რომლებიც განვითარდა ატომურ ელექტროსადგურებზე აბაიონამი მომხდარი მაციონსტრის შედეგად. მოხუცდავად აბაიონის მოქალაქეთა ორგანიზებულობისა და მხგვის კატაკლიზმების შედეგების ლიკვიდაციისათვის შხაობისა, იქ დღებზე ვერ ზერხდება სიტუაციის ნორმალისება.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ წერონიბლის ატომური ელექტროსადგურის ავარიულ ბლოკზე არსებული სარკოფაგი თავის ფუნქციას ვეღარ ასრულებს და უახლოეს 2-3 წელში პროცესები შეიძლება უპართივი გახდეს. ეს კი რადიაციული დაბინძურების საფრთხეს უქმნის როგორც ყვრბაის ბეერ სახელმწიფოს, ასევე საქართველოსაც.

მისათვის, რომ ატომურ ელექტროსადგურებზე ავარიის შედეგების ლიკვიდაცია და მოსახლეობის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეეძლოს, აუცილებელია ქვეყანაში მთელი რიგი დონისიხების გატარება. 9-10 წლის წინ

საქართველოს პრეზიდენტის მაშინდელმა მთავარმა სამხედრო ინსპექტორმა (რომლის უფროსიც მე გახლდით) შეამძინა საქართველოში მაშინ არსებული მოქალაქეთა თვითსაფრთხისა და მოქალაქეთა ინფორმაციული და კოლექტიური დაცვის საშუალებების მდგომარეობა. დადინდა, რომ ინფორმაციული დაცვის საშუალებათა უდიდესი ნაწილი ან აღარ არსებობდა, ან გამოუსადეგარი იყო (ექსპლუატაციის ვადის გასვლისა და შინახვის პირობების დარღვევის გამო). მოქალაქეთა თვითსაფრთხის ნაწილი გაბარცულია და მწეობრიდან გამოსული იყო, ნაწილი კი მაშინ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით განხისებული იყო კვრთ პირებსა და ორგანიზაციებზე. იმ პერიოდში თითზე ჩამოსათეული იყო მოქალაქეთა თვითსაფრთხე, რომლებსაც თვითნებ დანშნულებს შესრულება შეეძლოთ (შეკვებისა და ზურათ-სანოვაგის მარაგების შექმნის შემთხვევაში).

ცხადია, მაშინ არავის უდგია არსებული მდგომარეობის გამოსწორება.

დღეს მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება ათი წლის წინანდლისაგან.

საქართველოს მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კორიუნული უსაფრთხოების კონცეფციის ახალ რედაქციამო ერთ-ერთ საფრთხედ ჩამოყალიბდეს სომხეთის ტერიტორიაზე მოქმედი ატომური ელექტროსადგურის არსებობა და ამის საფუძველზე განისხვავროს გასტარებულ დონისიხებათა ჩამონათვალი. ჩამოყალიბდეს (ან დაევალოს არსებულს) სტრუქტურა, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციამო ორგანიზებს



გუწვეს აუცილებელი დონისიხების გატარება მოსახლეობის დაცვისა და ტერიტორიების დაბინძურების ლიკვიდაციის მიზნით.

ეს კი საკმოდ რთული ამოცანაა: უნდ ვიცოლოდ სად, რამდენი, რა ზომის და ტიპის მოქალაქეთა ინფორმაციული დაცვის საშუალებებია (რეხიარტორი, აირწინად და სხვა) აუცილებელი; ორგანიზება უნდა გაუკოდეს მათ შესყიდვას, შემობრებასა და გამოყენებას; მოსახლეობისათვის უნდა ჩატარდეს შეცადინებობები, რათა ვეცოდ იცოდეს, ექსტრემალურ სიტუაციამო როგორ მოიქცეს (წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია უპართივი პროცესები) უნდა შეიქმნას საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის მარაგები და განისხვავროს მათი შინახვისა და გამოყენების წესი შესასწავლია, რა ტიპის და რაოდენობის დეზაქტაციის საშუალებებია აუცილებელი, საიდან შეიძლება მათი შესობრება და რომელ სტრუქტურულ დეფიციტებთან მათი გამოყენება; შესასყიდა დონისიხტრები (სხვადასხვა სახეობის) და სხვა.

საერთაშორისო თანამეობრობისათვის ერთად გასტარებელია დონისიხტრები სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მუშაობის შექმრების მიზნითაც.

ქვეყნის ტერიტორიაზე რადიაციული ექსტრემების უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციის საქმეში დიდი როლი დეუკისრება ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი სათანადო მომზადება და აღჭურვა, შესაბამისი მარაგების შექმნა.

გივი თვარაძე  
გენერალ-მაიორი,  
გენშტაბის ვიცე-პრეზიდენტი

ქ. შვენიტორან განათსეული სომხური ატომური ელექტროსადგური თბილისიდან ხუდ რადიცი 177 კმ-შია



# გონივრულ რეჟიმ ბრძოლაში

„არ არსებობს პოზიცია, რომლის შემოღაც შეუძლებელია“

**პრუსიელი გენერალი  
ფრიდრიხ ვილჰელმ ფონ ბიულოვი  
(1755-1816 წწ.)**

XXI საუკუნის საბრძოლო სერცხეში, სადაც ვარების შეტვის ტემპი მნიშვნელოვნად გაზრდილი, ხოლო მოქმედება უფრო მასშტაბური და გაბედული, დამოუკიდებლად მოქმედი საბრძოლო ელემენტების როლი საერთო-სავარისო ბრძოლაში გაცილებით გაიზარდა. თანამედროვე საცეცხლე დაზიანების სისტემების გამოყენება საშუალებას იძლევა აბრძოლო მისი თვალთვალის ტექნიკური საშუალებები, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს მისი თვალდაცვის გარღვევისთვის. ამასთან, შეტევებში მყოფი ძალების წარმატება მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება სწორედ ამ საცეცხლე დარტყმების ეფექტურ და დროულ გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საბრძოლო წყობის ისეთ ელემენტებს, როგორცაა მიწინავე რაზმები.



მიწინავე რაზმის ცნება დასავლეთის უმეტესი ქვეყნის სამხედრო წესდებებში არ გვხვდება და მისი ფუნქციები ნაწილობრივ გადანიჭილებული აქვთ „სარეილი“ დანაყოფებს, აფნგარდებსა თუ ტაქტიკურ აეროშობილურ დესანტებს, თუმცა მიმანია, რომ ისინი სრულად და ერთდროულად ვერ შეძლებენ ამ ამოცანათა სპექტრის მოცაკას, რომლის გადამწყვეტაც შეუძლია მიწინავე რაზმს საქართველოს ომის თეატრში, მთიანი რელიეფისთვის დამახასიათებელი კერული თვალდაცვისა და შეტვის ცალკეული მიმართულებების პირობებში. შესაბამისად მიზანშეწონილად მიმანია წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნეს მიწინავე რაზმების როლი, ფუნქციები და ამოცანები თანამედროვე ბრძოლის ველ-

ზე, რა პირობებში შეუძლიათ მათ მოქმედება, მათი გამოყენების, მოზადების, შემადგენლობის თავისებურებები ქართულ შეიარაღებული ძალების განვითარებისა და საორგანიზაციო-სტრუქტურის კრილიში.

მიწინავე რაზმი წარმოადგენს გადამეტრულ ჯ/სატანკო, მექანიზებულ ან ქვეით ნაწილს (ქვედანაყოფს) გამოყოფილ ბრძოლის დროს დამოუკიდებელი მოქმედებისთვის. შეტევებში განკუთვნილია მიწინააღმდეგის დაცვის სიღრმეში სწრაფი შეღწევისთვის, მისი მნიშვნელოვანი ობიექტების (ხლდევების) ხელში ჩაგდებასა და შენარჩუნებისთვის, მიწინააღმდეგის დადგენებისთვის, სვლიდან დაბრკოლების ფორსირებისთვის და სხვ. დაცვაში – უსრუწველყოფის ხოლში მოქმედებისთვის. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მარშის დროს შემხვედრი ბრძოლის ალბათობის პირობებში. სარეილი რაზმისგან განსხვავებით, მიწინავე რაზმი არ ბრუნდება მთავარი ძალების განლაგებაში საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ, ხოლო უპიარდიდან განსხვავებით არ მოქმედებს მთავარ ძალებთან ერთად.

არსებული რეალიტიდან გამომდინარე, ქართულ შეიარაღებულ ძალებს იშვიათად შეეძლებათ გარეშობა, სადაც საშუალება მიეცემათ მნიშვნელოვანი რაოდენობით-ტექნიკური უპირატესობა მოიპოონ ძირითად მიწინააღმდეგესთან შედარებით აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო მიმართულებებზე ძალე-



მისა და საშუალებების გონიერი ეკონომიით უნდა მოხერხდეს გადამწყვეტ წერტილსა და დროში ძალების სწრაფი კონცენტრირება და დარტყმის მიყენება იქ, სადაც მოწინააღმდეგე ამას ყველაზე ნაკლებად ელოდება. მოწინააღმდეგის დამარცხებისთვის აბსოლუტურად არაა საჭირო მისი მთელი ძალების განადგურება. უმეტეს შემთხვევაში, წარმატების მიღწევა სწრაფად და შედარებით მცირე დანაკარგით შესაძლებელია მტრის წინააღმდეგობის ნების დათრგუნვითა და მისი ძალების ბრძოლსუნარიანობის დაქვეითებით მასზე, სწორედ შოკური ზემოქმედებით.

მოლიდონლობა, ძალისხმევით საჭირო დროსა და სივრცეში კონცენტრირება, სწრაფი მოქმედება, მებრძოდ მხარეს აძლევს მთავარ უპირატესობას – ინიციატივას. მისი მთავრებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელია საკუთარი ამოცანის ღრმა ცოდნა, დამოუკიდებელი მოქმედებისთვის მზაობა, მოწინააღმდეგის მუდმივი დასწრება საბრძოლო მოქმედებაში, გადწყვეტილების მიღებასა თუ პოზიციების დაკავებაში.

წინა ომებისგან განსხვავებით როდესაც შეტევითი ნაწილებისა და ქვედანაყოფების დამოუკიდებელი საბრძოლო მოქმედებები ჩვეულებრივ წარმოებს მოწინააღმდეგის დაცვის ტაქტიკურ ზონაში, თანამედროვე ომების მაგალითები ადასტურებს დანაყოფის მეტ დამოუკიდებლობას როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში და სწორედ აქ იკვეთება მოწინავე რაზმის გაზრდილი როლი საბრძოლო ველზე.

მოწინავე რაზმების საბრძოლო ამოცანები გამოშინარულობს ფარების საერთო ამოცანებიდან, შეტევისას კი გულისხმობს მოწინააღმდეგის გარკვეული ძალებისთვის ზიანის მიყენებასა და განსახლებული ფაზური ზღუდის (ობიექტის) დაკავებას დანაშნული დროისთვის. აღნიშნული ამოცანის სიღრმე, მეთოდები, ვადები დამოკიდებული უნდა იყოს მოწინააღმდეგის კონკრეტულ საბრძოლო წყობასა და მის საყარაულო მოქმედებაზე.

როული რელიეფის პირობებში მოწინააღმდეგის დაცვის სისტემაში არსებული პოზიციათაშორის გაზრდილი დისტანციები, მათ განლაგებაში საცეცხლე ზემოქმედების შედეგად გაჩენილი „ბზარები“ მოწინავე რაზმებს უქმნიან ხელშემწყობ პირობებს სწრაფად და გადამწყვეტილი მოქმედებისთვის, სწრაფი მანევრების განხორციელებისთვის. ამ შემთხვევაში არა მარტო იზრდება ამოცანის

